საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 2597 2018 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ცალკეული პირის თანამდებობრივი სარგოს გამოანგარიშების საგამონაკლისო წესის დადგენაზე თანხმობის გაცემის შესახებ

1. „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს მიეცეს თანხმობა, დაადგინოს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ცალკეული პირის თანამდებობრივი სარგოს გამოანგარიშების საგამონაკლისო წესი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. განკარგულება ძალაშია 2019 წლის 1 თებერვლიდან.

№1

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**

დანართი

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს მიეცეს თანხმობა დაადგინოს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ცალკეული პირის თანამდებობრივი სარგოს ტარიფი

N	დასახელება	ღირებულება ლარებში	შენიშვნა
1	საერთაშორისო ექსპერტ(ებ)ი - შეფასების ექსპერტ(ებ)ი/ფსიქომეტრიკოს(ებ)ი	დღეში არაუმეტეს 5000 ლარი	დღიური ანაზღაურება (ანაზღაურების ოდენობა განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის სტანდარტული განაკვეთების მიხედვით და ექსპერტის კვალიფიკაციით) (დასაქმების ხანგრძლივობა: თითოეული ექსპერტის არაუმეტეს 30 დღისა)